წელიწადი 1-ლი — გაზ. ფასი 10 კ. — ტელეფონი № 76 — სამშაბათი 19 ივნისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიერ რად. . . . 15 მან.
ნახევარი წლისა . . 8 მან.
თვიურად . . . 1 მან. და 50 კ.

ცალკე ნუმერი ათი კაპ.

ფულიანი ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად მიგზავნიდნენ; ხელის მოწერის ფასი: 3 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 3 მ. დანარჩენი სეკემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
ალალ-ალალ ... 25 კ.
ალალ-ალალ ... 15 კ.
ალალ-ალალ ... 10 კ.
ალალ-ალალ ... 5 კ.
ალალ-ალალ ... 3 კ.
ალალ-ალალ ... 2 კ.
ალალ-ალალ ... 1 კ.
ალალ-ალალ ... 50 კ.

ორგანოს შექმნა, რომელიც ხელთ იპყრობს ძალას და ყოველგვარ მოსალოდნელ გათიშვას თავიდან აგვაცდენს.

ჩვენ გვწამს, რომ დამფუძნებელი კრება-რუსეთისა მოარჩენს 117 წლის განშავლობაში ნაწამებ-ნაშობამეც სხეულს ქართველი ერისას. ჩვენ გვწამს, რომ ის დაგვბრუნებს იმ ჩვენს ლუკმა პურს-ეროვნულ თავისუფლებას—, რომელიც ჯალათის ხელმა გამოგვგლიჯა და ურომლისოდ ჩვენს არსებობას აზრი არა აქვს. ჩვენ ვიბრძვით ამ თავისუფლებისათვის და ვინც ჩვენი ბრძოლის იმედებს გაამართლებს, მისკენ იქნება ჩვენი სიმპატიები, ჩვენი ძალღონეც და ჩვენი დახმარებაც.

ჩვენც, როგორც ასეთს შეეყურებთ მომავალ დამფუძნებელ კრებას და სახარულით ვეგებებით მის თავის ამოყოფას ამ ამობოკრებულ ზღვის ტალღათა შორის.

კვლავაც არ დავივიწყოთ სოფელი, სადაც ისეთი კაეშირი, შეგნება და ორგანიზაციები არ არის, როგორიც ქალაქებშია. ვემზადოთ მისთვის და გავაგოთ კაცობრობას ხმა ქართველი ერისა. ბრო შეტად მცირე დაგვრჩა, საქმე კი ერთობ დიდმნიშვნელოვანია.

ან—ხანი.

საქართველოვ თავს მოუარე!

ყველას ახსოვს კერენსკის სიტყვები საქართველოს უფლებების შესახებ.

ტრაქტატი საქართველოსა და რუსეთს შორის შეკრული სოციალისტ მინისტრის აზრით ქაღალდის ნაგლეჯი ყოფილა, ქართველი ერის მიერ თავის უფლებების შესახებ ბრძოლა ყველასთვის თავისუფლების მოსურნე კერენსკის სხვა ერთა ამოლეტეთ ეჩვენება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კონფერენციის გადაწყვეტილებას ავტონომიის მოთხოვნის შესახებ დემოკრატული რესპუბლიკის ფართო პროპაგანდისტი „Русская воля“ რუსეთის დანგრევას უწოდებს და ათავსებს იმ განყოფილებაში, სადაც ეკსპრომრიაციები და შეიარაღებული შეჯახებანი აღწერილი.

რაღა ითქმის მარად სამტროთ გამზადებულ სოციალ-პლუტოკრატის შესახებ?

ცხვირ-მოუხეველი გაზეთი „ბაკუ“ სასაცილოდ იგდებს ისტორიულ საზღვრებს საქართველოს მომავალ ავტონომიისას და გვსალანძავ კითხულობს რა მდგომარეობაში ჩავარდებიან არა ქართველები, რომელნიც საქართველოს ავტონომიის ფარგლებში მოხვდებიანო, თუმცა ავტონომიის ყოველ პროგრამაში ნათლად არის ნათქვამი რომ უცხოტომთა ეკნებათა,ვარდ ყველასათვის საერთო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებისა, თვისი კულტურული ავტონომია.

ავტოკეფალია რაა? იგი ხომ ერთი ნაწილია რწმენის თავისუფლებისა... საქართველოს „ავტოკეფალის“ განგრძობა იურისტისთვის სამართლიანობის გამარჯვებას უნდა ნიშნავდეს და მორწმუნეებისთვის ღვთის მსახურებას. ვინაიდან სალდათურათ შეწყვეტილი თვითმწყესობა ეკლესიისა კანონის უფერაგესი დარღვევაა და სარწმუნოების შებღალვა.

მაგრამ ვერ იქმნა და ვერ შეეჭვია რუსეთი იმ აზრს, რომ საქართველო სარწმუნოების სფეროში მაინც არ იქნეს დამოკიდებული.

დროებითმა მთავრობამ ბენეშევიჩი შეგვთავაზა ეკლესიის საქმის მოსაწყობად, რომელმაც თავის უტაქტიკობითა და პოლიტიკანობით მხარი გაუმაგრა უკანონოდ უსამართლოდ სინოდისა და ნიკოლოზ 2 მიერ დაყენებულ მღვდელმთავრებს...

სამი თვეა მკუთხეში განგრძობილ იქნა ავტოკეფალობა საქართველოს ეკლესიისა... ერმა და სამღვდელოებამ აირჩია ქათალიკოსის მოსაყდრე. მაგრამ ვიდაც ბაქოელი ეფისკოპოსი გრიგოლი ჰბეღავს და როგორც „საქართველოს ეკლესიის ნაცვალი (?)“ ბრძანებას იძლევა ქართველთა უძველესი ეკლესია თფილისში გადაეცეს რუსთა მრევლს, თუმცა ამ ეკლესიის შენავალი უმრავლესად ქართველებია (იხ. ჩვენს გაზეთში „ორრუს-პონდეკია თფილისიდან ილია ჭყონიასი).

რა ერთი ვთქვათ? ამ თავისუფლების ხანაშიაც კი რუსეთის „გერგეთათ“ ვრჩებით საუკეთესო ნაწილი რუსეთისა სდუმს ჩვენს ტკივილებზე, საშვალონი დაგეცინან და შტრათ გაწყობილნი ჩვენდამი თამამად მუშაობენ.

საქართველოვ თავს მოუარე!

Argon.

განწმედისაკენ.

„განგებასა ვერვინ შეცვლის“-აი, ამ სიტყვებს წარმოვთქვამდნი ჩვენ 1801 წლიდან. ერის უფლების შებღალვას, ეროვნულ შეურაცყოფას და მონობის უხარეულს მოკერას შეუშფოთებლად ვურიგდებოდნი. ქართველი ხალხი სერვილიზმის ბაკილებით მახანჯდებოდა ბრწყინვალე წოდება უერთგულესს მოკრძალებით რომანოვთა ტახტის წინაშე ეძიებდა კეთილ დღეობასა... რუსის მეფეების „სარჩუქრებს“ მისჩერებოდა, თავის ცხოვრებისთვის ახალს არაფერს იძენდა და იმას, რაც შემკეიდრეობით გადმოსცეს, ჰკარგავდა.

ქართველი ინტელიგენცია, რომელიც უცხო ქვეყნებში ნასწავლებ აზროვნებით გამოიცდა სამოქმედო ასპარეზზე, რუსეთის ინტელიგენციას შეყურებდა ხელგაშლილ. ჩვენს ინტელიგენციას არ ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა და მიზანი. ერთ საუკუნის განმავლობაში საქართველოს მომავლის მრწამსი ვერ ჩამოვაყალიბეთ.

განცდა შევიწროებისა და ხალხის წმიდათა წმიდის შელახვისა ჩვენში ,ღალლობის, უიმედო პასიობის ხასიათს ატარებდა.

ამ გარემოებამ, რომ ყოველ-გვარ დაიმცირებელ და დამაგარავ მოვლენას მონურად ,ქედ მოხრილი ვეგებებოდით, გადაგვარების მორეგში შეაყენა ქართველი მოწინავე საზოგადოება.

დაგვემსხა ეროვნული ერთ სახეობა. ინტელიგენცია, უცხო იდეალებით „შებრძოლი“, გარიყული დარჩა, რადგან ქართველ ბერეზობას მისი არა გაეგებოდა რა. ქართველი ინტელიგენცია, უცხო თავის ქვეყნის პირარამისთვის, თავის მოღვაწეობაში არავითარ რეალ ძალას არ ემყარებდა. მისი მისწრაფება „სატრფოზე მოშორებულ ტყვეთ-ქმნილს“ სულთა ბრძოლა იყო. ქართველი კაცი ტყვეს წარმოადგენდა. იგი საქართველოს ვიეშას ვეძახ შეელიდა, რისთვისაც სულიერად ეწამებოდა.

მაღალ ეროვნულ შეგნების მოღვაწეობა ჩაიფერფლა ხალხის წინამძღოლებში. რა მოხდებოდა მშრომელ ხალხშიც?

ნამდვილმა მშრომელმა ხალხმა ეროვნული შეგნება როგორც ბუნებრივი თვისება შეინარჩუნა. მაგრამ მაღალ საზოგადოების ზე გავლენით დაუშახნჯდა. მარადალი არ არის ის თქმა, ქართველ ხალხს სამშობლოსთვის ბრძოლა აღარ ასულდგმულებსო. 100 წლის განმავლობაში ხალხს არავინ ხელმძღვანელობდა. ქართველი გმირები არ უყოვნიდენ სამშობლოს სახსნელად. მე-19 საუკუნეში არის იმის მაგალითები, რომ უკიდურეს გაუბედობაში მყოფი ქართველი ხალხი თავდადებით ხვდებოდა სამშობლოს დასახსნელად მოწოდებას. გიახსენეთ 1812 წ. კახეთის აჯანყება, „მეიელთა რისხვა“, „ბურიის ანსნლობა“ და იმერეთის „დამოუკიდებლობის ტრადიციული ბოლო“. დღეს თუ ვამბობთ, რომ ხალხი ეროვნულ სულის კვეთებით არ არის აღზნებული, სად უნდა ვეძიოთ ამის მთავარი მიზეზი?

100 წლის მონობაში, ეროვნულ განათლების მოსპობაში და უცხო იდეალებით კვებაში.

100 წლის წინად გვქონდა საკუთარი ქართული უმაღლესი სასწავლებელი, ქართული ეკლესიები და ქართული პოლიტიკა. 100 წლის შემდეგ, იმის მაგვრთ, რომ უფრო გაუნათლებელ ვიყავით, პასიური სულის კვეთება გამოვიჩინეთ.

ქართველური ბუნება შეილახა. შევიქენით ერთმანეთში მოკინკლავენი, შურიანები, დავიყავით დასებად. ქართული საქმიანობა კოლექტიურ თანამშრომლობით აღარ ცოცხლობს. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ფსიხიკა შეგვერყვნა. მიეეჩვიეთ ორპოფობას, ფლიდობას, და ერთმანეთის ბაგების, სად არის ქართველური პირდაპირობა, ქართველური რაინდობა? ძვირფასი საგანძური იგი შაგბნელმა მორნამ „შესეარა“. სწავლით, შრომით და შემოქმედებით უკან ჩამოვრჩით.

გარკვეული მიზანი ჩვენი მოქმედებისა არსად არ იხატება. კულტურაზე ეწერთ, კაცობრიობის განახლებისკენ ვეძახით, მხოლოდ ქართველ ბლეს საკუთარ სოლას ვერ ვაძლევეთ.

ქართველ ხალხის ხსნა საკუთარ ეროვნულ გვთვითცნობიერებაში და ,ბანახლებაშია. სანამ არ გვაქს ქართული პოლიტიკა, ქართული სკოლა და ქართული სახელმწიფური დაწესებულებები, მანამდის ქართულ ცხოვრების თვითაღორძინებაზე ოცნება უსაფუძვლოა.

ქართულ ცხოვრების ყველა კუნჭულში უნდა შევარღეს განწმენდის ქარიშხალი და სიმახინჯის მანდილი ავაშოროს.

ერის ყოველ გვარ აღორძინებისთვის მიუცილებელია. პოლიტიკურ უფლებით მოსილება. პოლიტიკური უფლებები, რომ არ წაგვრთმეოდა ცხადია დღეს აეე უმწეონი არ ვიქნებოდით. ქართველმა ხალხმა იცის თუ როგორი შინაარსის მომენტი სდგას ამ ხანად. ყველა თავისუფლებას იპოვებს.

ქართულ ,პოლიტიკურ უფლებების აღსადგენად კი ჯერ პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. მალე 4 ოთხი თვე იქნება, რაც რეგოლუციამ დაარღვია სახელმწიფოს ძველი წესწყობილება. მაგრამ ქართველები დღემდის „უმოქმედოთ“ ვართ და ისევ იმით ვვინდათ გავიმართლოთ თავი „ბანგებასა ვერვინ შესცელესო“. შორს ასეთი მახინჯი დოგმა!..; იგი უნდა გაეცალოს საქართველოს სივრცეს. ყველამ შეესვათ განკურნების წყარო და ვიგრძნოთ ქართული წამება. მოვსპოთ სერვილიზმი, შინაურსა და გარეშეს წინაშე ზეგრსდგეთ სამართლიანის სიამაყით და გამბედაობით.

მივცეთ ქართველ ხალხს სულიერი და ხორციელი საჭრდო, გაეწიოთ პირდაპირი ხელმძღვანელობა და ,ყველას გვწამს, რომ იგი უკეთესი შემოქმედი იქნება საქართველოს მომავლისა.

აწმყოს ხელსაყარელი პირობები წარმავალია შეიძლება ხვალინდელი დღე სიბნელითა შემოსოს. ამის ,გამო მოვალენი ვართ მთელი ჩვენი ძალღონე მოვიკრიბოთ, რათა ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფება სასურველად დაგვირგვინდეს, რათა საქართველოს მოიპოვოს უსამართლოდ გადაცემული იურიდიული უფლებები.

რუსეთი რეგოლუციის ნაყოფის გასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას იწვევს.

დამფუძნებელი კრება ახალი ცხოვრებას თვითონ ვერ შექმნის, თუ თვით ხალხმა თავისი სურვილები, თავისი მისწრაფება გარკვეულ ფორმებში არ ჩამოაყალიბა.

შემუშავებული გვაქს ჩვენ ეს ფორმებიჩ,აქა-იქ ეხმაურობთ საქართველოს შინაარსებობაზე, მაგრამ სრულიად ერის მთლიანი ხმა ჯერ არსით გვსმენია.

ნუ თუ ყველაფერი კიდევ განგებას უნდა მივანდოთ? არა, ეს ვერ გამოდგება.

ჩვენი ბედი უჩვენოთ არ უნდა გამოიჭედოს. მიუცილებელია სწრაფი, შეგნებული, მიზანშეწონილი მოქმედება. მიუცილებელია ყველა ,ქართულ პოლიტიკურ პარტიის შეთანხმება, საერთო ეროვნულ პლატფორმის შემუშავება.

სამშობლო შველას გვავალებს. განვწმინდოთ და მივეშველოთ!

ი. იმერელი.

რევოლუციის ამბები

(ბ. დ. ს.)

დეპეშები

დანაშაუნ სამხედრო უფროსისა.

პეტროგრადი. ივნისის 15 მინსკის საოლქო სამხედრო უფროსად დაინიშნა გენერალი ლეიტენანტი მინუტი.

საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა.

პეტროგრადი. ივნისის 16. საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა, რომელიც მოუწოდებს მოკავშირე სახელმწიფოთ კონფერენცია მოიწვიონ ომის კითხვის გამოსარკვევად და მოკავშირეთა ამ კითხვაში შესათანხმებლად ერთსა და იმავე დროს გაეგზავნა: დიდი ბრიტანეთისა იტალიათისა, იაპონიისა, ამერიკისა, რუმინეთისა, ბელგეთისა, სერბეთისა და პორტუგალიის მთავრობებს.

სრულიად რუსეთის ,ყუხათა ,ერადობა.

პეტროგრადი. ივნისის 16. სრულიად რუსეთის ,ყუხეთა ,ყრილობამ დაამთავრა მუშაობა აგრარული კითხვის შესახებ და შეუდგა თვით ,ბართველოსის კითხვის გადაწყვეტას. ,ბულტენ კომიტეტის კანდიდატურა.

სტოკჰოლმი. ივნისის 14. ეროვნულ სოციალურ ,ბულგარეთის პარტიის ცენტრალ კომიტეტს ,ბადა ,ეწყვეტია გაგზავნილ საკანონო საერთაშორისო კონფერენციაზე ,ბულგარეთის ,ბალეკეთ-ბულგარეთ-ბულგარეთ-ბულგარ

ცია პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ აღმოსავლეთ ფრონტის მეტაბში მონაწილეობს იზენბუშეი ლიტველთა სახელით რომელიც საქმეთ ლიტველებისათვის მხოლოდ ჯალათია.

შიდაწინააღმდეგ.

ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘ. ივნისის 15. ვარშავის ს

ლ. ერეკლოლიანი, ნ. გიორგაძე, ვ. ნარეულაშვილი, პ. გვარამია, ი. ბალანჩიგაძე, დოლიაძე, ლ. კიკვაძე, ვ. კიკვაძე, ვ. ზუბაღაძე, მ. ჩუბინაშვილი, ონიფანტე ჯაბაშვილი, მ. ვეფხვაშვილი, პ. შავგულიძე, ი. ბიბილაშვილი, ა. გაბუნია, ი. ჩითალაძე, ა. წერიძავა, ი. რაზმაძე, ეუფს, ბ. კაპანაძე, კ. ამაშუკელი, ა. გაფრინდაშვილი, კ. კიკნჯიშვილი, ი. ჯოხტაია. მღ. მეფდლიძე, მღ. გიორგი ტყ-ძე, ს. კუხალაშვილი, ახვლედიანი, ეფანია, ნ. გვერდელი, ნ. ქავთარაძე, ა. სარაშვილი, ილორანიდი, ალე. დავითულიანი, ვლ. ზვიადაძე, პარმ. ამაღლობელი, პ. ფ., ი. არველაძე. ონ. ქუთათელაძე, რ. კრუტიკოვ, ვლ. ტერ, გ. კიკლაძე, მაჭარაძე. ქრის. ცინცაძე, ი. გოგოძე, არ. შალამბერიძე, პოლ. ფანჩულიძე, №№, ბეგოვი, დავით ლორია, ნუცა ჭეიშვილი, დავით ყუფარაძე, ხაიმ ხანაშვილი, ფილიპოვი, ბინინაშვილი, იაკობ ციციაშვილი, ილია მოშიაშვილი, იაკოფ თავდიდიშვილი, იოს. ბულარია, დიმ. ბახტაძე, ფ. გაბუნია, პორო. ოჩელაშვილი, ალ. ლოლაძე, ლ. ჩიკვაშვილი, ილ. ფიჩხაძე, მიხ. ჯანაშვილი, მარ. ბაინდურიოვი, ვ. ბალანჩიგაძე, ვოლოხი, მახარაძე, გაბრ. ხანანაშვილი. მიშა ბერეაშვილი, დან. თავდიდიშვილი, იაკ. სარიანშვილი, ლიდა დარსველიძე, №№. გალ. საუტაშვილი, ეფრემ, მოსე ჩიკვაშვილი, კოლია გურული, რუბ. ციციაშვილი, იოსებ ფოფხაძე, ჯაფარ სულთანოვი, სოგრატ მაშრიკაშვილი, დომენტი ფურცხვანიძე, გიორგი ხიდიაშვილი, დავით ეფეფლაძე, გიორგი წვერავა, კოტე კვირიკეშვილი, სერგო მორჩაძე, კირილე ფურცხვანიძე, ბ. ბუხაიძე, იულო ჭაბუკიანი, არსენა კუხიანიძე, არტემ ოჭანეზოვ, გიორგი ფარჯანაძე, პლ. ნოდია, ვარ. შავგულიძე, სტეფ. ცირამუა, სანდრო ჩიგაძე, ალმ. ტოლონიძე, გრიგ. ტოლონიძე, ხაიმ მოშიაშვილი, ალექს. დვალი, ნესტ. ლორთქიფანიძე, იოსებ ახალენიანი, გაბრიელ გიორგაძე, ანტიფან ხაბურზანია, თავდიდიშვილი. დ. თავდიდიშვილი, ხ. ფიჩხაძე, რ. ფიჩხაძე, ლ. ფიჩხაძე, ეასო ანეგაზოვი, სიმონ სირბილაძე, ლუკა კაკბარავა, მეთოდე გვარდაზანი, მელ. ჭეიშვილი, ალექ. მანაგაძე, დავით ბიბილაშვილი, თედორე დავითულიანი, ანტ. ხეკურიანი, დიანოს კობერიძე, მიხ. დათუაშვილი, დავით შავგულიძე, გაბრ. თავდიდიშვილი, პატრ. კირაკოზოვი, ვას. კუპრაშვილი, მოშე თავდიდიშვილი, შალ. ხახალეშვილი, გიორგი ფურცხვანიძე, შაბათა ბუზიაშვილი, მიხ. გაგულაშვილი, ისაკ კაკიტელაშვილი. მიხ. რიფინაშვილი, ბ. ბათიაშვილი, ისრ. ხანანაშვილი, მიხ. ხანანაშვილი. ოს. ბუზიაშვილი, ალექს. ხუციაშვილი, ალუქს. ბერიკეკა, მიხ. ენუქაშვილი, მათე ჩუბინიძე, ისრ, იაკობაშვილი, №№, დან. რიფინაშვილი, ისხაკ ბუზიაშვილი, მერი ჩიკვაშვილი, რუბენ ჩიკვაშვილი, შიშა ენუქაშვილი, ამბაკო ნიკოლაიშვილი, ვლ. ჯანგავაძე, იაკ. შონბე, ა. ეშონდუნერ, კარ. ბათერაშვილი, ა. რიფინაშვილი, სამ. დათიაშვილი, ოს. ბათერაშვილი, რუბ. თოფჩიაშვილი, იუდა ხანანაშვილი, №№, იაკ. თარონიშვილი, შალ. იაშვილი, ვარდ. მუხალიანეკი, ილია ჩოგავაძე რაფ. შგიფეგ, ეფსო. ჭრიშვილი ამბროლაძე, ფიზიეკი, გრიგორაშვილი სუბგულაძე, მესხი, ფალაშვილი, ბებოკეკ, პეტ. მოშიაშვილი, ვარლ. დემეტრაძე, კ. მოფონელიძე, ელ. გეფგანიძე, №№. ალექს. ამბოლაძე, „სარძეკე“, შეწვეული, გეფგუნავა. №№. შეძმარიაშვილი, ოცეტ-ი, „ბრეშუშა“, №№, ვას. წერეთელი, ბარძემიშვილი, გიორგაძე, ელ. ყახიანი, იეან, მამაჯანოვი, ნიკო ბეუჩიძე, №№, №№, №№, №№, დარიკო კილი, თუთნდეანეკი, „დეგორ“, თეიმურაზ ფალავა, ირაკლი შავარდნაძე, ვარდენ შიმინაშვილი: ალექსი ურუშაძე, სამსონ დათუშიძე, ოპოლაძე, კაპანაძე, №№, ლეფავი, ილია მარდალეიშვილი, ვარლამ გაბუნია, ჯოდოშვილები ა. აკოფოვი, №№, ა. ნიკარაძე. კალის ტრატე მაღლაფერიძე;

(შუდგ. იქნება)

ᲝᲥᲛᲘ.

23 მაისს მოწყვეული საქართველოს სასულიერო სასწავლებლების ერთგულ მასწავლებლთა კრებისა.

1917 წელსა, მაისის 23 დღეს ქ. ქუთაისში მოწვეული იქნა სრულიად საქართველოს სასულიერო საშუალო სასწავლებლების ქართველ მასწავლებლების კრება. კრებას დაესწრნენ: ქუთაისის ქალთა საგიმნაზიის სასწავლებლის სრული შემადგენლობა, მასწავლებელი—თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლისა—კორძაია, ქუთაისის სასულიერო სემინარიის და სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ-ნ სრული შემადგენლობა, მასწავლებელნი სასულიერო მასწავლებელთა—ვორისა—ი. კაპანაძე, დ. ა. მაჭარაშვილი, თელავისა—ვ ედიეიშვილი. სენაკისა—მდ. მ. ბ. გამზარდია, ს. ბუფეკა, ალ. ჩხეტია და ლ. ფირცხალავა, ოზურგეთისა—მ. ხელიძე, მგელაძე და კაპანავა.

კრებას მხურვალე სიტყვით მიესალმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი იერონიმე ეპისკოპოსი, ალ ნიშნა მიუკელებელი საჭიროება სასულიერო ეროვ, როგორც სავალო ისე საქალებო სასწავლებელთა სრულიად ახალ ნიადაგზე გარდაქნისა, თანახმად განახლებულ ცხოვრების მოთხოვნილებათა და უსურვა კრებას ნაყოფიერი მუშაობა ამ დიად საქმეში.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის ინსპექტორი ტ. ჯფარიძე, მდივნებად—ია ეკალაძე—ენცაძე და ი. კაპანაძე. თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქნა კრების პრეზიდიუმი, რომელშაც შეეიდა მთელი შემადგენლობა სასულიერო სასწავლებლთა განახლების მომზადირაგებელ ბიუროსი—თავმჯდომარე—ი. ახსენაშვილი, წევრნი—ი. ეკალაძე ცინცაძე, მღ. მ. ონოფრე შუშანია, ვეკოლ ბერიძე, ალ. მგალობლიშვილი, ა. გორგაძე, თ. ფერაძე, მდივანი ფ. შავგულიძე და თითო წარმომადგენელი ყველა სასწავლებლისა—უფროსი ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლისა ქ-ნი მარიამ ოტიას ასული ვარდოსანიძე და მასწავლებელი ქ-ნი ოლგა ბიქტორის ასული კლდიაშვილი, თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლისა—კორძაია, სასულიერო სასწავლებლებისა—სენაკისა—მღ. გ. გამზარდია, ოზურგეთისა—მ. ხელიძე, გორისა—ი. კაპანაძე და თელავისა ვ. ედიეიშვილი. დასასრული კრებამ საეჭიროდ სცნო მიესალმოს დეკანეშით სრულიად საქართველოს ეკლესიის კათოლიკოზს მოსაყდრეს ყოველად სამოდეველო ეფისკოპოს ლეონიდს.

24 მაისი.

კრება შეუდგა მორიგ საკითხთა გარჩევას. პირველად კრებამ მოისმინა მოხსენება მ. ონოფრე შუშანიასი შესახებ იმისა, თუ რა ტიპისა უნდა იყოს მომავალი განახლებული სასწავლებელი. მთავარი დებულება მოხსენებისა: სასულიერო სასწავლებელი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას; მისი მიზანი ყალბია და შინაარსი ცალმხრივი. ქრისტიანული სწავლა ყველასათვის ერთნაირათ სავალდებულოა, მოძღვრულ მოწოდების განსახდგენად შეუძლებელია საშვალო სასწავლებლის მოწოფეთათვის; განათლების შინაარსი და სიერცე ქრისტიანულის თვალსაზრისით. სასწავლებელთა გერთიანება საზოგადო განათლების ნიადაგზე.

იქონია რა მსჯელობა ამ საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა:

სრულიად საქართველოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა ყრილობამ იქონია მსჯელობა სასულიერო სასწავლებლის ტიპის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ არსებული სახე სკოლისა თავის დასახულ მიზნს ერის სულიერ მოძღვართა აღზრდას ვერ ამაღლებულს და განახლებულ ცხოვრების მოთხოვნილებათ არ შეეფერება, აუცილებელი საჭიროებად სცნო ნაცვლად არსებულ, როგორც სავალო, ისე სქალებო სასწავლებელთა შექმნას ახალი, საზოგადო განათლების საერთო ეროვნული ტიპის საშვალო სასწავლებელი, თანახმად საღი პედაგოგის დღევანდელ მოთხოვნილებისა, და იმის განზორციელებას შეძლებისდაგვარად შეუდგეს მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდანვე.

შენიშვნა: რადგან არსებული სასულიერო სასწავლებელი უნდა გარდაქმნას საერთო ტიპის საშვალო სასწავლებლად კრებამ გამოსთქვა სურვილი იზურუნოს მომავალ წლიდან, სადაც საჭიროება მოითხოვს გაიხსნას მე-5 კლასი საჭირო თანხის გამოძებნით.

რაიცა შეეხება ეკლესიის მოძღვართა მომზადებას, კრებამ საჭიროდ დაინახა ასეთი სპეციალიზაცია მოწოდებულთათვის ხდებოდეს საშვალო განათლების შემდეგ საგანგებოდ ამ მიზნის განსახორციელებლად დაარსებულ უმაღლეს სალვთისმეტყველო კურსებზე.

კრებაზე განხილულ იქნა აგრეთვე ნითვიერი მხარე მომავალ განახლებულ სასწავლებლისა კრებამ იქონია რა მსჯელობა ამ საკითხის. შესახებ საჭიროდ სცნო: ეთხოვოს კომისიასაც, რომ სა მოსწავლო ოლქთან მოლაპარაკებით განახლებული სასწავლებელნი შეტანილ იქნან საქართველოს საერო სასწავლებელთა საერთო ფარგალში და ეს სასწავლებელნი ინახებოდეს ისე, როგორც ინახება ყველა სხვა საერო სასწავლებელი. რაიცა შეეხება არსებული სასწავლებელთა შენობებს და ინვენტარს, რაიც შეადგენს საქართველოს სამღვდელოების საკუთრებას, ამ საკითხის გამოსარკვევად კომისიასაც გამართოს მოლაპარაკება სამღვდელოებასთან და სანამდის სამოლოოდ გადაწყდებოდეს ეს საკითხი, დარჩეს აწ არსებული სახსარი სასულიერო სასწავლებელთა შენახვისა.

კრებამ იქონია მსჯელობა სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ და დაადგინა: მომავალი სამოსწავლო წლიდან ყველა საგნის სწავლება პირველ ხუთ კლასში აუცილებლად სწარმოებდეს ქართულ ენაზე და შეძლებისდაგვარად შემდეგ კლასებშიაც, ხოლო ერთი წლის შემდეგ ყველა დანარჩენ კლასებში აუცილებლად.

25 მაისი.

კრებამ განიხილა სანიმუშო სია სასწავლო საგანთა და საჭიროდ ცნო განახლებულ სასწავლებელში ისწავლებოდეს შემდეგი საგნები: სამღვრთო სჯული, ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია,—რუსული ენა და ლიტერატურა; საზოგადო ისტორია და გეოგრაფია, მატემატიკა—არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ბუნების მეტყველება- ფიზიკა, ქიმია, კოსმოგრაფია; ფილოსოფია, ლოგიკა, ესთეტიკა; სოციოლოგია და პოლიტიკური ეკონომია, პედაგოგიკა, მუსიკა და სიმღერა გალობა, გიგიენა, გიმნატიკა, ლათინური ენა, ახალი ენები არჩევით, სოფლური ენა აღმოსავლეთის და თითოული დასავლეთ საქართველოს სასწავლებლებში.

შენიშვნა: ლათინური ენის სწავლება უნდა დაიწყოს სასწავლებლის მე-5 კლასიდან.

სამღვრთო სჯულის სწავლების და მომავალი თაობის სარწმუნოებრივ ნიადაგზე აღზრდის შესახებ კრებამ მოისმინა მოხსენება მ. ონოფრე შუშანიასი. მოხსენების მთავარი დებულებანი: უთანხმობა მეცნიერებასა და სარწმუნოებასა, ცხოვრებასა და სარწმუნოებასა შუა და ამის მიზეზები. თანამედროვე ღვთის მეტყველების შინაარსის სისუსტე და მეტოდის უვარგისობა, საღვთო სჯული დღევანდელ სასწავლებელში და მისი არა ნორმალური მდგომარეობა. სარწმუნოება თვისუფალი სინდისის საქმეა და მისი შესწავლა არ შეიძლება საველდებულო იყოს. მოძღვრის ადგილი და მოღვაწეობა სასწავლებელში ხარება და არა სწავლება. საღვთის მეტყველო საგნების დაწერნენ ისტორიულ-რელიგიურის თვალსაზრისით საეკლესიო ისტორია და საეკლესიო მწერლობა, როგორც სავალდებულო საგნები საშვალო სასწავლებლის მაღალ კლასებში.

სიტყვა ეკლესიის ფართო მნიშვნელობა. საეკლესიო მწერლობის ფარგალი და შესწავლის მეტოდი. ბუნების მეტყველება როგორც მთავარი წყარო საღვთისმეტყველო ცოდნისა.

იქონია რა მსჯელობა ამ ფრიად საყურადღებო საკითხის შესახებ კრებამ დაადგინა შემდეგი:

დღემდე არსებულ სასწავლებლებში სარწმუნოებრივი სწავლა-აღზრდის საქმე ყალბ და ბავნე ნიადაგზე იყო დაყენებული. სარწმენოება თვისუფალი სინდისის საქმეა და მისი სავალდებულო შესწავლა ეწინააღმდეგება თვით სარწმუნოების შინაგან თვისებებს. ვემყარებით რა ამ დებულებას, ჩვენ, სრულიად საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებელნი აუცილებელ საჭიროებად ვსცნობთ მომავალ განახლებულ სასწავლებელში საღვთო სჯული, როგორც სავალდებულო საგანს, არ ქონდეს ადგილი არც ერთ კლასში. სარწმუნოებრივი სწავლა-აღზრდა მიენდოს მოძღვარს, რომელიც საგანგებოდ იქნება არჩეული სასწავლებელთა კორპორაციის და მშობელთა წრისაგან.

ამასთანავე შემდეგში შემუშავებულ იქნას გეგმა ზემოაღნიშნულ სარწმუნოებრივი აღზრდის საქმის განხორციელებისა.

საშვალო სასწავლებლის მაღალი კლასებში შემოღებულ იქნას საეკლესიო ისტორია და საეკლესიო მწერლობა. ამ საგნების სწავლება უნდა იყოს სავალდებულო და დატანებული წმინდა ობიექტურ-მეცნიერულ ნიადაგზე.

კრებამ მოისმინა იაკობ ცინცაძისა და ვ. ბერიძის მოხსენებები ქართული ლიტერატურისა და ენის შესახებ, განიხილა მათ მიერ შედგენილი სანიმუშო სია პროგრამა ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიისა და დაადგინა: დაწვრილებითი პროგრამის შემუშავება ამ საგნების სწავლებისა მიენდოს განსაკუთრებულ კომისიას; დაეკალოს ბიუროს და მუდმივ პრეზიდიუმს კომისია მოწვეულ იქმნან გამოცდილნი და სათანადო ცოდნით აღჭურვილნი პირნი.

ქართული სიმღერა-გალობის შესახებ კრებაზე მოხსენება წაიკითხა მღ. რაფდენ ხუნდაძემ. კრებაზე აღიარებული იქმნა: ქართული სიმღერა-გალობა და მუსიკა განახლებულ სასწავლებელში შემოღებულ იქმნას, როგორც სავალდებულო საგანი.

26 მაისი. კრებამ მოისმინა მოხსენება ფ. შავგულიძისა, თუ რა გვარად უნდა მოეწყოს მომავალი თაობის აღზრდა განახლებულ სასწავლებელში. მომხსენებელმა დაგმო არსებული წესწყობილება სასულიერო სკოლისა, აღნიშნა უარყოფითი მხარ შედეგები იქ გამეფებულ აღზრდითი სისტემისა და ამასთანავე მოითხოვა, რომ აღზრდის საქმის მოწყობა დაყენებულ იყოს საღ, პედაგოგიის ახალი საშუალებათა მიხედვით. უმთავრესი დებულებანი მოხსენებისა: 1) სკოლა—ავტონომიური ერთეული; 2) სკოლა საზოგადოების ფუნქცია; 3)სკოლის ოჯახთან დაახლოვება. მომხსენებელმა აღნიშნა რა ის უარყოფითი ფაქტი, რომ ძველი რეჟიმის სკოლაში აღზრდის მაგიერ გამეფებული იყო ტანჯვა წვალება, ამასთანავე კრებას აღუნუსხა ის საშვალებანი, თუ რა გვარათ უნდა სწარმოებდეს განახლებულ სკოლაში აღზრდა.

სკოლამ უნდა განამტკიცოს ბავშვნის ნების ყოფა, შეიმუშავოს მასში მტკიცე ხასიათი, რომ სასწავლებლიდან იგი გამოდიოდეს მედგარ მებრძოლად ცხოვრების მძიმე და ძნელ ასპარეზზე.

ამ საკითხის შესახებ კრებამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება ტ. ჯფარიძისა. მოხსენებაში აღნიშნული იყო სხვადასხვა ნაკლი დღეკანელ შკოლისა; მომხსენებელი მოითხოვდა რომ განახლებულ შკოლას მიეცა მომავალი მოქალაქისთვის: საფუძველიანი მსოფლმხედველობა, შრომის უნარი და მტკიცე ხასიათი. ამ მიზნის განსახორციელებლათ მოხსენებულმა დასახელა სხვადასხვა საშვალება, რომელთა შეწეერობით შკოლაში უნდა დამაყარდეს განსხვავებული დისციპლინა. ასეთ საშვალებათ მოიმხსენებელმა მიიჩნია ფიზიკური სამუშეარის შემოღება, ხელობის სწავლება, ხელსაქნარის სხვადასხვა დარგი, აგრეთვე უცხოელთა ცხოვრების შესწავლა განსაკუთრებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გაცნობით, სისტემატურათ წარმოებულ საუბრებით და ახალი გეგმაზე მოწყობილ ექსკურსიებით.

ამ საკითხის საფუძვლიან და ყოველმხრივი გამორკვევის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: მოისპოს ცოდნის და ყოფაქცევის დაფასება ნიშნებით. მოწაფეთა თვალყურის დევნება, დანაშაულთა აღნიშვნა და გამორკვევა მიენდოს თვით მოწაფეებს, ხოლო დაფასება და განაჩენის დადგენა მიენდოს გამგეობას, რომლის შემადგენლობაში შედიან მოწაფეთა წარმომადგენლები. ფიზიკურ-ვარჯიშობა-ბანაკი ეორგანიზოდეს ბანაკში შემოღებულ იქნას ბანაკსაცხენე დარგის სამუშაოები: მებაღეობა, მეფუტკრეობა, ხელსაქმე და სხვ.

ვრებამ სასურველათ მიიჩნია მომხსენებელთა [illegible] [illegible] [illegible]